

32



32

საუმაჯვილო

ქუჩა

ქართული ლიტერატურის.



ილუსტრირებული № 13.

1915 წ.

529  
ქმ

ქართული  
ბიბლიოთეკა

# მეცნიერული

თბილისი  
\* სსრკ-ის მეცნიერული ცენტრი \*  
\* ბიბლიოთეკა \*  
\* მ. შ. ბერიძის სახელი \*  
\* 1915 წლის \*  
\* 1915 წლის \*  
\* 1915 წლის \*

ტომი XI. № 13 ივლისი, 1915წ.

241



—ვერ მოვასწარი გაკვეთილის სწავლა.  
სურათი კაუღლახისა.



შ ი ნ ა ა რ ს ი :



I—ვერ მოვასწარი გაკვეთილის სწავლა,—სურ. კაულბახისა . . . . . 1

II—„ნაკადულის“ მკითხველები:—I. ქეთინო თავთაქიშვილი—თბილისი,—II. ბუჭუკა და შოთა იაშვილები—თბილისი,—III. სიკო თავთაქიშვილი—თბილისი,—IV. თამარ, ალექსანდრე და დათიკო კლიმიაშვილები,—სოფ. რუისი ქართლში,—V. თინა ქარუმიძე—თბილისი,—VI. ლადო, თინა და ალიოშა კიპაშვილები, დაბა ხორაგოული, —VII. ვალერიან ხატიაშვილი სიღნაღი . . . 3

III—ციცუნია,—ლექი დ. ელიოზიშვილისა . . . . . 4

VI—კოტეს მწყერაობა,—ნ. კეცხოველისა . . . . . 7

V—მეფის ახალი ტანისამოსი,—ზღაპარი ანდერსენისა, თარგმანი ილ. ნაკაშიძისა . . . . . 10

VI—რწყილი ჭ კიანჭველა (გალექსილი),—(დასასრული),—შიო მღვიმელისა . . . . . 12

XII—გასართობი: არითმეტიკული ამოცანები, რებუსი . . . . . 24





# ციცუნია

ა ცელქია, რა ეშხაკი,  
ეს ჰაწაწა ციცუნია;  
დასტის... კიდევ ბევრს ისტუნებს,  
და შრავალიც უსტუნია.

ხან შესტება ძაღლა ტახტზე,  
სტო სჯამებსე ავარდება;  
ნის თქუწებს და თაშიკოს  
რბილილოკისს ჩავარდება.

მონჯაჯებს ინდის გორგალს,  
გავარდება...  
არა ხაღვლობს, თუ ბებია  
უევირის და უჯავრდება.



060

ხან მხარეულს ესტუმრება,  
 კუდს ააშვერს, დაიხნავლებს...  
 ხუბად რამეს მოიხარავს,  
 ორთავ თათებს წამოაგლებს.

ერთხელ თაგვიც დაიჭირა,  
 ხა-ხა-ხა-ხა!... შეცინება,—  
 თაგვი ძაღვ გაეხარა,  
 მასთან უოფნა არ ინება!

კარგა ხანი დაეძებდა  
 ციცუნია ხახა-მშრალი,  
 მაგრამ თაგვი ვუღარ ნახა,  
 ვერ იპოვნა მისი კვალი.

ჭოი, დმერთო, რა ცელქია  
 ეს ზაწაწა ციცუნია;  
 დახტის... კიდევ იხტუნაგებს  
 და მრავალიც უხტუნია!...

დ. ელიოზიშვილი.





## შაქროს მწყერაობა.

**ქ**ვილო შაქრო აბა კარში გამოიხედუ, გიორგამ რა მსუქანი მწვერი მოგიტანა?— შესძახა ძღუდლის ცოლმა აივნიდან შვილს, რომელიც თბილისში სწავლობდა და სასაფხულოდ სოფელში ჩამოვიდა: ღია კარიდან გამოვარდა მოწაფის ტანთსაცმელში გამოწურობილი ათი-თორმეტი წლის ბავშვი და დედისკენ გაექანა.

— რაი, რაი, დედა?

— გიორგამ მწვერი მოგიტანა.

— ბიჭოს! აბა, გიორგა?— ახლადა შეაძწინა და შეეკითხა მასწარბში გამოხვეულ შავტრუსა სოფელელ ბიჭს, რომელიც დიმილთ უცქეროდა შაქროს.

— ასე მითხრეს, ღუდლიანთ შაქრო ქალაქში მიდისო, და აი მეც მწვერი მოგიტანე: ქალაქში მომიგონებს სოფლე მეთქი.

ამ სიტყვებთან ერთად მისთავაზა მოკლეული მწვერი. მწვერის დაანახვასე შაქრომ შეიკუნტრუშა.

— სად მოკალი? რა მსუქანია და!

— აი, ფეტვიანებში მოკვალი. ახლა მწვერი ევალგან მსუქანია: შემოდგომაა.

— ამაღამ ჩემი წვეული იუაჲ: ერთად ვივანძმოთ. ჰო, დედა?

— მამა, შვილო, როგორც გაუმასწინებლადები გიორგას— შენ იცი.

— მადლობელი ვარ, მადლობელი!

— გიორგა თან უკან-უკან იწვედა.— ძროხები დასაწველები მუკანან; სბორებიც ისევ ვენახში არიან...

შაქრომ ახედ-დახედა გიორგას და რაეი დაატეო ვერ დავიოლიებო, ახლა სხვაზე დაუწეო ლაზარაკი.

— დედა, იმ კვირას ქალაქში უნდა წავიდე, და ვერ სამ-წვერად არა ვყოფილვარ. ხვალ გიორგას წავევები საქონელში და ერთად ვიმწვერავებთ. ჰო, დედა?

— წავიდეთ რა: ისე გაჟუჟინო რომაა.

— წავევები, დედა, წავევები,— ეხვეწებოდა შეუოქმანებულ დედას შაქრო და თან თვალებს უკონიდა.

— კარგი, წაჭეე, არა იტკინო-რა. აბა, გიორგა, შენ იცი და შენმა ბიჭობამ.— დართო ბოლოს ნება დედამ.

შაქრომ სისარულით და აღფრთოვანებით შეიკუნტრუმა. სტუნაობით აივანსე გაირბინ-გამოირბინა; გიორგას ხელი გადახვია და სახლამდის ისე ჩააცილა, აქ ვენახიდან სბორების გამოუვანასე უშველა, ძროხების დაწველაზედაც, ერთი სიტყვით აწვენებდა გიორგას: მეც ეოჩადი ბიჭი ვარ და სოფლის საქმისა მეც ცოტა რამე გამეგებო... იმ საღამოს დასდეს ჰირობა: შაქროს გიორგა ადრე გააღვიძებდა და ადრინათვე წავიდოდნენ შინდორში.

ამკვარად გადასწვეიტა ორმა მეკობარმა უგნებელ ჩიტ-მწვერების ბედი, იმ ჩიტებისა, რომელნიც ამ საღამოს ასე მხიარულ ჭიკჭიკ-ჟრიაბულით ემშვიდებოდნენ ჩამაგალ შვის სსიკებს და შენატროდნენ— მალე კიდევ გვაჩვენე შენი ცსოველი სსიკებიო, იმ დედისა, რომელიც მთელი დღე ბარტყების საკვებ ჭიის ძებნით დაღალულიყო და ამ საღამოს მამურალი ჩამომჯდარიყო ბუდესთან და ნახევრად თვალეობ-ჩანსუჭული მომავალსე ოცნებობდა. რა იცოდა რომ ხვალ მტრის კომბალი სულს გაუფრთსობდა და დააობლებდა ჰატარა უსუსურ ბარ-

ტყებს, რომელთაც ვერ ფრენა არც კი იცოდნენ, რომ სცადონოდან  
ნოდან, უეჭველად გადაიხვეწებოდა სადმე და დაძაბავდა თა-  
ვის ბარტყებს; მაგრამ ვინ შეატყობინებდა მტრის მოახლოვე-  
ბას?

საბრალლო ჩიტები! განა რა მათი ბრალია, რომ შაქრო  
ქალაქში მიდის და მათი სორცი გეპრივლია.

მეორე დილით ადრიანად ჩამოუარა ღვედლიანთ სახლს  
გიორგამ და რამდენჯერმე სძაძაღლა შესძახა შაქროს. ამ  
ძახილზე შაქრო სწრაფად კარში გამოვარდა. ხელში სუფთა  
ტილოში გამოკრული ჰურები ეჭირა.

— უოჩად შაქრო, ადრე ამდგახარ!— შეაქო გიორგამ.

— საით უნდა წაფასხათ საქონელი, გიორგა?— შეკვიითსა  
შაქრო, ისე, ვითომც ქება ვერ გაიგონაო.

— არდიგარდმოებისკენ უნდა წაფასხათ: იქით მწუერებიც  
ბეწრი იცის და სხვა ჩიტებიც. ღვთის მადლით საქონლის-  
თვის ბალახიც კარგია.

შაქრო და გიორგა ძაღვ მინდვრის გზაზე იდგნენ და  
მხიარულად მიეღალეობოდნენ საქონელს. წკპუტუნით და სტუნა-  
ობით მინდევდათ გიორგას ფინა ფარსია. გზაზე შესამე მწუეპ-  
სიც მიემატათ და საქონელი ერთმანეთში აურიეს.

— აბა, სანდრო, დღეს ე, ღვედლი ბიჭი კარგად უნდა ვამ-  
წუერაოთ.

— თუ ამინდი კარგი დაგვიდგება, უღვედლიბიჭოთაც ვიმ-  
წუერავებთ, ჩვენ სადამოს ცოტა კაი ფერი არ უჩანს, და რა  
ვიცი!

გიორგას ახლა და მოაგონდა, რომ დილა როგორღაც  
ღრუბლიანი იყო და შეკრულ კოპებით დასავლეთისკენ გაიხვედა,  
მოწმენდილია თუ არაო.

— არა უშავსრა, ცოტა მოწმენდილია: მკონი წვიმა არ  
მოვიდეს.

— წვიმა მოვამ—ივითხა ცოტა არ იუოს შეშინებულმა  
შაქრომ.

— მოსვლით იქნება არ მოვიდეს, მაგრამ მზიანი დღე კი  
არ დაგვიდგება,— უნასუსა სანდრომ.

შაქრო ცოტა დამშვიდდა.

დღე როგორღაც ღრუბლიანი დაუდგათ. მზე მალემაღ  
ღრუბლებს ეუარებოდა და იქიდან ჩუმ-ჩუმად იჭვრიტებოდა.  
თანაც ცოტა ქარმა დაჰბერა. მწვერობას კი ასეთი დღე არ  
უხდება, რადგან ჩიტიც და მწვერიც გაცქვრიტებულა, მტრის  
მარჯვე კომბალს მარჯვედვე უსხლტება და მონადირეს ზირში  
ჩალა-გამოვლებულსა სტოვებს. დღე ვერ იყო სანადირო, მაგ-  
რამ რაღას გააწუბოდნენ: ბედს უნდა დამორჩილებოდნენ. სა-  
ქონელი ალაღეს არდიგარდმოებში, სადაც ერთი ორი მწვექსნი  
უკვე უმარჯვებდა ბალახს თავის საქონელს.

რას მიქვიან ღრუბლიანი დღე იმისთანა მომწვერავისთვის  
როგორიც გიორგა და სანდროა. ალალი \*) გამოსულიყო,  
თორემ შერე თვითონ იცოდნენ, როგორ დღესაც დააურიდნენ  
კემრეულ ჩიტ-მწვერებს.

შუა დღემ მოაწია და ალალიც მალე გამოვიდოდა. გიორ-  
გაც და სხვებიც გაფაციცებით ათვალვიერებდნენ,— არ გამო-  
კვეწაროს და სხვებთან არ მიფრინდესო.

— აგერ ალალი! — შესძახა სანდრომ და ჭალის ზირისა-  
კენ კომბალი გაიშვირა, სადაც რაღაცა შავად მოსჩანდა.

— ალალია, ალალი! ჭოუ ალალი, ალალი... — გააბეს კვი-  
რილი მწვექსნებმა და ბუჩქებს კომბლები დაუშინეს. ფარსიამ  
შეჭქმნა წკმუტუნის და კუდის ქნევა, ხან კი რამდენჯერმე უკანა  
ფეხებსე შეჭხტებოდა და სმა-მალღა ჰქუფდა.

\*, ალალი ერთგვარი ვარული ფრინველია, მიმინოს მაგვარი, რომელსაც  
მწვექსნებთან ერთად ნადირობა ეხერხება

მალე ალალი მათკენ მობრუნდა და მათ თავსე, ჭაერში, რამდენიმე წრე შემოუარა.

— ვანე, — მიჭმართა გიორგამ ზატარა მწვემსს, — საქონელს დაუდექი და შენც წილში მოგიყენებთ.

ვანეს თითქოს დაეხარა: თვითონაც უნდოდა მწვერობა, მაგრამ რაღას იხამდა, — გიორგა თავის სიტყვას აღარ გადავიდოდა; მან თანხმობის ნიშნად თავი დაუკანტურა.

— ჯერ ნიბლიებს აუაროთ, ნიბლიებს, — იძახდნენ გიორგა და სანდრო და თან კომბლებს ბუჩქებსა სცემდნენ. შაქროც მათ ჭბამბვდა.

აჯერ ერთი ნიბლია გამოფრინდა ბუჩქიდან და დაბნეულმა ზირდანირ ველს მიაშურა. ბიჭებმა: „ჭოი, ალალი, ალალი!“ — მიაუოლეს რათა ჩიტისთვის უარესად გული გაესეთქათ. ალალმა დაინახა თუ არა მსხვერზლი, შეისვე დაუშვა ბასრი კლანჭები და ფრთებ-შეწურული საშინელი სისწრაფით წამოვიდა სუსტ ჩიტისაკენ. ნიბლიამ დაასწრო, შემინებული უკანვე გაბრუნდა და მეორე ბუჩქს ეცა. მომწვერავები, რომელნიც თვალს არ აშორებდნენ ნიბლიას და ალალის მოძრაობას, მაშინვე იმ ბუჩქისაკენ გაიქცნენ და შემოერთნენ გარშემო. დაუშინეს კომბლები. ნიბლია ბუჩქში ხან იქით გადასტებოდა, ხან აქეთ, და რაკი დაატუო აქ ვეღარ გაუმავრდებოდა, გამოფრინდა გარედ და მიაშურა მესამე თავსაფარს.

ალალს არც ახლა გამოეპარა და მისკენ დაეშვა. მონადირეები გულის ფანცქალით ეიქინას სცემდნენ. ნიბლიამ იკრძნო, შემდეგ ბუჩქს ცოცხალი ვერ მივაღწევო და იქვე მიწასე გაინახა, ალალმა კლანჭი ვეღარ დააწვდინა და იმავე სისწრაფით ჭაერში აფრინდა, მაგრამ აქ სანდროს მარჯვედ გამოსწრაფილმა კომბალმა მოუსწრაფა სიცოცხლე საბრალე უდანამაურო ჩიტს, შაქრომ ამის დანახვაზე სისარულით შეიკუნტრუმა, წამოავლო უსული ჩიტს ხელი და სრულებითაც

არა ჭყუირობდა იმაზე, თუ როგორ სწუეუროდა ჩიტსაც წი-  
 ცოცხლე.

აღალი კი გააღმასნდა და უფრო აცეცებდა თვალებს: ვნა-  
 ხოთ ახლაც აძვდებოდა, თუ არაო. კასურდა ჩიტობა უველას  
 ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ფარსია წკმუტუნებდა და ძალ-  
 ძალ უკანა ფეხებზე დგებოდა, ჭსტოდა, და ჭეუფდა.

— „ჭანი, ლიბა, ლიბა!“ \*)— წამოიძახა ნიბლიას დანახვაზე  
 გიორგამ და თან გაფრენილ ჩიტს კომბალი მიაფოლა, ეშმაკმა  
 ნიბლიამ კომბალი აიცდინა და გვერდზე გაფრინდა. არც აღა-  
 ლი უცქერდა სეირს. ძაღვ მის კლანჭებში იქნებოდა, იქვე  
 ხარის ბუჩქი რომ არ დახვედროდა. უველა ბუჩქს შემოერთვა;  
 ფარსია კი უველასზე წინ გარბოდა, ბუჩქთან შედგა, შეჭეუა,  
 გადასტა წინა ტოტებით და თვალის დანახვად უძალ ნი-  
 ბლია მის ზირში საცოდავად წიოდა. ფარსიამ მორჩილად გა-  
 მოიტანა გარედ და გიორგას ფეხებ წინ დადო; მან კი თავი  
 წაჭედიჯა გულგასეთილ და შემინებულ ზატარა უვნებელ  
 ჩიტს და, ვითომც აქ არაფერიო, მიაწოდა შაქროს.

გაჩაღდა ჩიტობა. რომელი რომელს სჯობნიდა— არავინ  
 იცოდა. მართლაც ბუზივითა ქუევადნენ საბრალო ჩიტებს.  
 შაქროც მისდევდა. მაგრამ ძლივს და სუნთქავდა დაღლილო  
 ბის გამო.

— მწვერი, მწვერი!..— წამოიძახა გიორგამ და ცხვირ წინ  
 აფრენილ მწვერს კომბალი გააფოლა. კომბალი ასცდა და მის  
 მაგიერ აღალი დაედევნა, მაგრამ მწვერი უცბად გვერდზე გა-  
 ფრინდა. აღალი ჭაერში წინ წაუარდა; ასცდა მწვერს, მისი  
 მსხვერპლი კი უვნებლად სიმინდში ჩაეცა.

— ჭოი, ალაღ, ალაღ!— რუს კაღმა, სიმინდში ჩაჯდა,  
 სიმინდში.— უვიროდნენ და მისდევდნენ. გიორგაც და სანდროც  
 ელვის სისწრაფით გადაეულენ რუს და სიმინდისკენ მოჭკურ-

\*) ლიბა— ნიბლია.



ცხლეს. შაქრომაც ისე უნა, მათ მიჭბაძა, მაგრამ შეჭხე იღბაღს:  
 „რა ვქნა, აქ საღ მიფურინავო“—გაუელვა თავში შაქროს და  
 ზასუხის მიცემა ვერც კი მოასწრო, რომ წებალში ტუნა კი  
 მოსძვრა. შეშინებულმა ჰირსე ხელი ზედი-ზედ ჩამოისვა და  
 სლუკ-სლუკით გაჭირვებით რამდენჯერმე ამოისუნთქა. ვერ  
 გამოკვეყულიყო—რა დაემართა. ამ ხნის განძავლობაში  
 გიორგას და სანდროს გაეგონათ წელის შხაპუნი; შა-  
 ქროც რომ ვერ დაენახათ, მიმხედარიევენენ საქმე რამიც იყო  
 და საშველად გამოქცეულიევენენ. როდესაც ამოზუნსლული  
 შაქრო დაინახეს, წაჭსკდათ გულიანი მხიარული, სიცხილი.  
 შაქრომ მათ თვალები შეანათა და მამინ და მისვდა, საქმე რა-  
 მიც იყო.

— რას იცინით, რას იცინით, თქვე საძაგლებო...—უსაყვე-  
 დურა-გულმოსულმა და გულ-ამომჯდარი ტირილი მორთო.

გიორგა შეისვე გაჩუმიდა, ჩავიდა წელის ჰირს და ხვეწ-  
 ნით ამოიუგანა გაწუწული შაქრო.

— ჩიტებიც წებალმა წამართვა, სულ თქვენი ბრალია, თქვე  
 საძაგლებო. და თან ცრემლი და წელის წვეთი ზოლებად ჩა-  
 მოსდიოდა სახესე.


— არა უშავს-რა, შაქრო; საღამოსე იმდენი მოციტანო  
 რომაა. ახლა კი ნუ ტირი და სახლში წავიდეთ,—უევაკებდა  
 გიორგა და ცდილობდა გაეჩუმიებინა. შაქრო ჯერ ახლო არ  
 იკარებდა, მაგრამ როდესაც ქარმა დაჭბერა, კბილების კაწა-  
 კწი დააწუებინა. მამინ კი ხელ-ახლა დაჭვაბულდა. გიორგამ  
 ტილოს აბჯა მოიხსნა, ამოაღავა უკვე გამსძარი ჰურები და  
 მით ჩამოსწმინდა სველი ჰირისახე, გაიხადა თავის ფარავა  
 და ხვეწნით ჩააცვა—არ გაცივდეთ.

— სანდრო, სანამ ამოვალ ე, საქონელს დაუდექი და მე-  
 რე მე ვიცე და ჩემმა ბიჭობაძა. ახლავე ამოვირბენ მეც,—  
 შეეხვეწა გიორგა სანდროს და შაქროს ხელი ჩაჭკიდა.



შაქროვი ახლა სულ გამორკვეულიყო და ცოტა ზრცხვან-  
 გაკვირვებული უცქერდა გიორგას. მე სამაგული და ვუძახე და  
 ეს კი ასე მიფრთხილდებაო. მოზღვედა გიორგას ქალაქელი,  
 მასწრაში გამხვვეული მოწაფე და ჭფიქრობდა: „აღბათ ჩი-  
 ტების ცოდოთი მომივიდა უოველივე... მაგრამ გიორგაც კაი  
 ბიჭია, ქალაქში რომ ჩავალ, იქ უეიდი და გამოუგზავნი ახალ  
 ტანისამოსს და ფარჯახსო“...

6. კეცხოველი.



...და მისი მისწრაში გამხვვეული მოწაფე და ჭფიქრობდა: „აღბათ ჩიტების ცოდოთი მომივიდა უოველივე... მაგრამ გიორგაც კაი ბიჭია, ქალაქში რომ ჩავალ, იქ უეიდი და გამოუგზავნი ახალ ტანისამოსს და ფარჯახსო“...



## მეფის ახალი ტანისამოსი



ველ დროში ცხოვრობდა ერთი მეფე, რომელსაც ვეელაზე უფრო უკვარდა ახალი ტანისამოსი და რაც ფული ჰქონდა, ამისთვის სარჯავდა. მეფე თავის სალდათებისათვის არ ზრუნავდა, თვატრს უურადღებს არ აქცევდა და სასეინოდ მხოლოდ იმიტომ გამოდიოდა, რომ ხალხისათვის თავისი ახალი ტანისამოსი ეჩვენებინა. ეოველ საათში ახალ ტანისამოსს იცვაძდა, და როგორც სსვა მეფესე ამბობენ, სასელმწიფო საბჭოში ბმანდებო, ისე ამ მეფესე ამბობდენ, მეფე ტანთ იცვაძსო.

დიდ ქალაქში, სადაც მეფე ცხოვრობდა, დიდი მხიარულება იყო. ეოველდე იქ მრავლად მოდიოდნენ უცხოელები. ერთხელ ორი მარტუარბ მოვიდა. ფეიქრობა დაიხემეს და სთქვეს საუკეთესო ნაქსოვის დამზადება შეკვიძლია. ჩვენი ნაქსოვის არა მარტო ნახატი და ფერადებიც საუცხოვოა, არამედ იმისგან შეკერილ ტანისამოსს საკვირველი თვისება აქვსო: უჩინარია იმ კაცისათვის, ვინც გამოუსადეგია იმ ადგილისათვის, რომელიც უჭირავს, ან უზომოდ სულელიაო.

— აი, ეს ნამდვილად საუცხოვო ტანისამოსი იქნება! — იფიქრა მეფემ. რომ შევიკურო, მეცოდინება, ვინ არის ჩემ სასელმწიფოში თავისი ადგილისათვის უკარგისი და სულელებსა და ჭკვიანებს გავარჩევე! დიანს საჭიროა, რომ ამ საათშივე ეკამზადონ ჩემთვის ასეთი ნაქსოვი.



მეფემ მისცა ბლომად ფული ბედ ორ მატეუარას, რათა მალე შესდგომოდნენ მუშაობას.

მატეუარები მიუჯდნენ დასვას და ხალხს თავს ისე აჩვენებდნენ, თითქო გაცხარებით მუშაობდნენ, დასვებზე კი სრულებით არაფერი არ ჰქონდათ. ეოველ წუთში თხოულობდნენ წმინდა აბრეშუმის ძაფს და ოქროს; ეველა ამას ჯიბეში იდებდნენ და დილიდან სვლამომდის ცარიელ დასვებთან ისხდნენ.

— კარგია შევიტეო, რამდენი ნაქსოვი დაუმზადებიათ, — ფიქრობდა მეფე. მაგრამ გულზე რაღაცამ უჩქიტა, როცა გაახსენდა, რომ ეს ნაქსოვი სულელ და თავის თანამდებობისათვის უვარვის ადამიანთათვის უჩინარია. რასაკვირველია დარწმუნებული იყო, რომ თვითონ მას არაფრის არ უნდა ეძინოდეს, მაგრამ მაინც ვინმე სვვა თავის მხლებლის გავზავნა ამჯობინა. ქალაქის ეველა მცხოვრებმა იცოდა, რა საკვირველი თვისება ჰქონდა ახალ ნაქსოვს და ეველას მოუთმენლად სურდა შეეტეო, რამდენად უვარვისი და სულელი იყო მისი მუშობელი.

— მოდი ერთი გავკზავნი ფიქრებთან ჩემ მოხუც, ჰატრეცემულ მინისტრს, — იფიქრა მეფემ. — იგი ეველასზე უფრო კარგად დანახავს ნაქსოვს, რადგან ჰკვიანია და ჩინებულად ასრულებს თავის თანამდებობას.

და, აი, წავიდა მოხუცი მინისტრი იმ ოთახში, სადაც მატეუარები ცარიელ დასვებთან ისხდნენ და ეველას თავს აჩვენებდნენ, თითქო მუშაობდნენ.

— დემართო შემიწვალე! — იფიქრა მინისტრმა და თვალები ამოიწმინდა, — რომ ვერაფერს ვერ ვხედავ!

მაგრამ იმან მხოლოდ გაიფიქრა ეს სმა-მალლა კი არ უთქვამს.

მატეუარებმა სთხოვეს ახლოს მოსულიყო მათთან და ჰკითხეს, როგორ მოგწონთ ნაქსოვის ნახატობა და ფერადე-



ბიო. ამავე დროს ცარიელ დასჯებს აჩვენებდნენ; საბრძოლო მოსუცი მინისტრი კი სულ თვალებს იწმენდავდა; მაგრამ მაინც ვერაფერს ჭხედავდა, რადგან დასჯასე არაფერი არ იყო.

— ღმერთო ჩემო—ფიქრობდა იგი,—ნუ თუ მე სულელი ვარ? ამას თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი და ეს არავინ არ უნდა შეიტკოს. ნუ თუ ჩემი თანამდებობისათვის უვარგისი ვარ? არა, არავის არ ვეტყვი, რომ ნაქსოვი ჩემთვის უხინარია.

— აბა რა აზრისა ბრძანდებით?—ჭკითხა ერთმა ფეიქართაცანმა.

— ოჰ, მშვენიერება რამ არის, საუცხოვოა—მოუგო მინისტრმა და სათვალეებში გაჭხედა.—რანაირი მოხატულობა როგორი ფერადებია. დიანს მოვასხსენებ შეფეს, რომ თქვენი ნაშრომი ძალიან მომეწონა.

— ეს ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვის!—სთქვეს ფეიქრებმა და აუსხსნეს მინისტრს, თუ როგორი ფერადები და სახეები ჭქონდა იმათ ნაქსოვს. მოსუცმა მინისტრმა ვეველაფერი შეფეს გადასცა.

ასლა ფეიქრებმა მუშაობის განკრძობისათვის მოითხოვეს კიდევ ფული, აბრეშუმი და ოქრო. ვეველა ამას წინანდებურად ჯობეში იდებდნენ, დასჯებზე ერთც ძაფიც არ ჩანდა ფეიქრები კი ისევ ცარიელ დასჯებთან ისხდნენ.

მეფემ კიდევ ერთი თავისი წარჩინებული გაგზავნა მათთან იმის შესატუობად, თუ როგორ მიდის მათი მუშაობა და როდის დაასრულებენ ნაქსოვს. ამ წარჩინებულსაც ის დაემართა, რაც ზირველ გაგზავნილს; უცქირა, უცქირა, მაგრამ რადგან მაკიდასე არაფერი არ იყო, რასაკვირველია—ვერაფერი ვერ დაინახა.

— ხომ საუცხოვო ნაქსოვია!—ჭკითხეს მატუეარებმა და აუწერეს უხინარი ნაქსოვის თვისება.



— რომ მე სულელი არა ვარ, ეს ნამდვილად ვიცი!— იფიქრებს წარჩინებულმა, — მამ ჩემი თანამდებობისათვის უვარ გისი ვოფილვარ. სწორედ რომ სასაცილო ამბავია, მაგრამ არავის არ უნდა შევამჩნევიხო.

წარჩინებულმა დაუწყო ქება უჩინარ ნაქსოვს, აღტაცებული იყო მშვენიერ ფერადებით და საუცხოვო სელოვნებით.

— სწორედ საოცარი რამ ვოფილა!— მოახსენა მეფეს წარჩინებულმა.

მთელი ხალხი ქალაქში ამ საუცხოვო ნაქსოვზე ღაპანარაკობდა.

ბოლოს და ბოლოს თვით მეფემ ისურვა მისი ნახვა. იახლა მრავალი რჩეული კარის კაცები, მათ შორის ფეიქრუბთან უკვე ნამყოფი წარჩინებულნი და გაჟმართა გაიძვერა მატეუარებთან. როცა მატეუარებმა შეიტვეეს, ვინ მოდიოდა მათთან, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ შეუდგენენ მუშაობას, სელში კი ერთი ნამცეცი ძაფი არ ეწირათ.

— განა მართლა საუცხოვო რამ არ არის?— ჰკითხეს ფეიქრუბთან ნამყოფმა წარჩინებულებმა. — დახედეთ, მეფევ, რა ნაქსოვი, რა ფერადებია!

და აჩვენეს ცარიელი დასვები. ეგონათ, რომ ეველა დამსწრეთ შეეძლოთ ამ ნაქსოვის დანახვა.

— ეს რას ჰნიშნავს?— იფიქრა მეფემ. — მე არაფერს არ ვხედავ. ეს სომ საშინელებაა, ნუ თუ სულელი ვარ! ნუ თუ მეფობისათვის უვარგისი ვარ! ეს სომ საშინელი უბედურებაა...

— ოჰ!— სმა-ძაღლა სთქვა მეფემ: — მართლაც მშვენიერება რამ ვოფილა! ძალიან, ძალიან მომწონს.

ხალისიანად გააქნია თავი და ცარიელ დასვას დააცქერდა, რადგან არ უნდოდა ეთქვა, რომ ვერაფერს ვხედავდა. მთელი ამხალაც უუურებდა და მასე მეტს არ ვხედავდა; ეველა კი ამბობდა. — „საოცარი, მშვენიერებაო!“ და ურჩევდნენ მეფეს ამ მშვენიერ ნაქსოვიდან შეკერილი ტანისამოსი ზირველ დღე-

სასწაულს ჩაეცვა. „მშვენიერი, საუცხოვო, საოცარი!“ ისმობდა ეველეანს; როგორც სჩანდა, ეველა აღტაცებული დარჩა, და მეფემ მატეუარებს კარის ფეიქრების სარისხი უბოძა.

დღესასწაულის მთელი წინა ღამე მატეუარებს არ უძინებიათ და ოთახში ოც სანთელზე მეტი ენთოთ. ეველა ჰსედავდა რომ მეფის ახალი ტანისამოსის დასრულებას ჩქარობდნენ, თავს ისე აჩვენებდნენ, თითქო ნაქსოვს დასჯიდან იღებდნენ, დიდი მაკრატლით ჰაერს სწრიდნენ, უძაფო ნემსით ჰკერავდნენ და ბოლოს სთქვეს: „აი, ტანისამოსი მზადია!“

მეფემ თვისი დიდებული კარის კაცები იახლა და თვითონ მოვიდა მათთან. მატეუარებმა ასწიეს ერთი ხელი მაღლა, თითქო რაღაც ეჭირათ, და სთქვეს: „აი შარვალი! აი წამოსასხამი, აი სეროუკი! ეს ტანისამოსი აბლაბუდას ქსელივით მსუბუქია; როცა ჩაიცვამ, ასე გკონია, რომ არაფერი ჩაგიცვამს ამაძია სწორედ მისი საუცხოვო თვისება.“

— მართალია.— სთქვეს კარის კაცებმა, მაგრამ ვერაფერს ჰსედავდნენ, რადგან სანახავი არაფერი არ იყო.

— კსურთ თუ არა ახლა ტანთ გაინადოთ, — უთხრეს მატეუარებმა მეფეს. მაშინ აქ, დიდი სარკის წინ, ამ ახალ ტანისამოსს ჩაეცმევთ.

მეფემ ეველაფერი გაინახა, მატეუარები კი ისე აჩვენებდნენ თავს, თითქო ახალ ტანისამოსს აცმევდნენ. ამ დროს მეფე სარკის წინ ეოველ მხრივ ტრიალებდა.

— ოჰ, — ამბობდნენ ეველა დამსწრენი: — როგორ მშვენიერად გადგიათ! რა ხელობა, რა უფრადობაა! საუცხოო რამ ტანისამოსია!

— სანრდილობელი, თქვენი ზროცესისათვის დანიშნული კარებთან გახლავთ, — გამოაცხადა სახლთუხუცესმა.

— მზად ვარ! — სთქვა მეფემ. — კარგად მაგია ეს ტანისამოსი?

მეფე კიდევ ერთხელ მოტრიალდა სარკისკენ, რადგან უნდა დოდა ეველასთვის ეჩვენებია, რომ ეურადღებით უცქერის ახალ ტანისამოსს და კარგად სედავს.

კარის კაცებს მეფის წამოსასხამის კუდი უნდა სჭეროდათ ხელში, ხელი მოჭკიდეს და ხალხს აჩვენეს, ვითომ ხელში რაღაც აიღეს ისე გაუდგნენ გზას, თითქო ძღვეიფი მიჭკონდათ რადგან ეშინოდათ. არავინ შეგვიტეოს, რომ ვერაფერს ვსედავთო.

ამნაირად მეფე მიდიოდა ქუჩა-ქუჩა მშვენიერი სანრდილობელის ქვეშ, და ქალაქის ეველა მცხოვრებლები, ქუჩებსა და სასალების ფანჯრებში, ამბობდნენ: „ღმერთო ჩემო! რა საუსესოვია მეფის ახალი ტანისამოსი. რა წამოსასხამია! რა მშვენიურად ადგია! ვერაუინ ვერ გაბედა იმის თქმა, რომ არაფერს ჭსედავდა: რადგან სულელ კაცად, ან თავის თანამდებობისათვის უვარვისად გამოაცხადებდნენ. მეფის არცერთი ტანისამოსი არ მოსწონებია ისე ხალხს, როგორც ახლად შეკერილი.


მეფე სომ თითქმის ტიტველად დაიძხა — ბოლოს ერთმა ბავშვმა.


— გესმით უმანკო ბავშვის ხმა? — სთქვა მამა მისმა, და ეველამ ვერ ჩურჩულით გადასცა ერთმანეთს ბავშვის სიტყვები.

— მეფე სომ ტიტველად! — დაიძხა მთელმა ხალხმა.

მეფე გაცეცხული დარჩა რადგან ეგონა რომ ხალხი მართალს ამბობდა. თავისთვის კი ფიქრობდა არაუინ არაფერი უნდა შევაძინეუინო. კარის კაცები კი მოდიოდნენ და გულმოდგინედ მიჭკონდათ უჩინარი ძღვეიფი.

ილია ნაკაშიძე





# რწყილი და ჰიანჭველა

(დასასრული\*)

**ქ**რუსმა უთხრა:—ადვილია, გენაცვალე, გეთაუვანე: ინებევი, მხოლოდ ნაცვლად ცოტა ფეტვი მომიტანე.

სთქვა:—მეტი რა ჯანი არის: შველა უნდა სენს და ჭირსა, ორჯერ დაჭკრა ფეხი მიწას, და მოექცა ორმოს ჰირსა.

— ორმოვ, ორმოვ, ნუ დამიჭერ კრუსისათვის ცოტა ფეტვსა; კრუსი მომცემს წიწილასა, ვვავს მიუევან განსწუვეტსა.

უვავი მუსას დაესწება, მუსა მიწილადებს რკოსა, რკოს მიუტან ღორს, და ღორიც ჯაგარს მომცემს საბაწროსა.

ჯაკრისაკან დაკრეს ბაწარს, მოვიპოვებ სსნას და შველას, ჩაუგდებ და ამოვიუვან წელიდან მძობილ ჭიანჭველას.

\*) იხილე „ნაკადული“-ს მე-12 №.

— რწეილო, ხვეწნა-სტუნაობით  
 ჩემთან მიწას ტვეილად დაგვი,  
 თუ გსურს ფეტვი გაგატანო,  
 მომაშორე წუწკი თავი.

შურდულივით კაწუწუნდა,  
 წრუწუნასთან განხდა რწეილი;  
 —თავო, ორძოს დაესენი,  
 თუ კწამს სიემე და ცოლ-შვილი.

ორძო მოძცემს. კრუსისთვის ფეტვს,  
 კრუსი—ნაცვლად წიწილასა;  
 უვავს მივგვრი მას—აგრემც ღმერთი  
 გაუწვევტავს სინსილასა.

უვავი მუნას დაესენება,  
 მუნა მითავაზებს რკოსა,  
 რკოს მიუტან ღორს, და ღორი  
 უვავრს მოძცემს საბაწროსა.

ამით საქმეს ეშველება,  
 მაღლს შევსწირავ გულით უველას  
 ჩაუგდებ და ამოვიყვან  
 წულიდან ჩემს ძმა ჭიანჭველას.

— რწეილო, გხედავ-გაჭირვების  
 ტალ-კვესი ხარ ცოტა-მატა;  
 თუ გსურს ორძოს ჩამოვესნა  
 მომაშორე შენც მე კატა.

ფისოსთანაც დაიბადა;  
 და შესთხოვა.—კატავ, ჩვენო,  
 ბრმა კნუტების სადღვეგრძელოდ  
 წრუწუნა თავგს დაესენო.

კატასაც ის მოუთვალა,  
რაც სემოთკენ უთხრა ვკვლას.  
კატამ უთხრა:—ბატონი ხარ,  
თუ მომიტან ცოტა წველას.

ძროხისაკენ სავალი გზა  
რწეილმა ერთ წამს გადავლას;  
მოწიწებით, მოკრძალებით  
მივიდა და ნახა ძროხა.

—დამხმარე, მადლიანო,  
გაჭირვებულს, უშწევსო!  
თუ ღმერთი გწამს, კატისათვის  
ნუ დამიჭერ ცოტა რძევსო.

რძევს მიუტან ფისოს, ციცოც  
წრუწუნა თაკვს დაესხნება.  
თაკვი ორძოს მიატოვებს,  
ორძოს ზირი მესხნება.

მიწილადებს ფეტვის მარცვალს,  
ფეტვს მიუტან დედა კრუსსა.  
კრუსი მომცემს წიწილასა  
და ვვავს მივგვრი, გასაფუფქსა.

ვვავი მუხას მოშორდება,  
მუხა ჩამომაწვდის რკოსა;  
რკოს მიუტან ღორს, და ღორი  
ჯაგარს მომცემს საბაწროსა.

ჯაგარისაკენ დავწნავ ბაწარს,  
ღვთისკენ გამოვითხოვ შველას,  
გადუგდებ და გამოვიევან  
წულიდან მობილ ჭიანჭველას.

— თუკი მოძმის დახსნა გინდა,  
სწუსდები და გული გტკივა,  
რატომ მეც არ მოძიტანე,  
დალოცვილო, ცოტა თივა?!

რწეილი მეტის სისარულით,  
უფრო შავად აირუვა;  
დაგლიჯა და მოუტანა  
ნედლი თივა ერთი ბლუვა...


წამება და წვალებაში  
დიდი ხანი არ გასულა.  
ვინც რა უთხრა, — ეგულას თხოვნა  
სულ ერთ წუთში აასრულა.

ღორისაგან ნაბოძები  
ჯაგარი შოლად დახსველა,  
დაგრიხა და გადაუგდო,  
საცა იყო ჭიანჭველა.

არც თუ ჭიანჭველას შესვდა  
ლოდინი და დიდი მოცდა:  
რწეილმა გაღმით გადაცურა  
როცა ბაწარს შეაცოცდა.

ღმერთს მადლობა გადასადეს,  
ერთმანეთი ადღეგრძელეს;  
და ორივემ მშვიდობის კზა  
ისევ მშურად გააგრძელეს.

ზიო მღვიმელი.





### კრიტიკული ამოცანები

#### I

(წარმოდგენილი ი. კ.-შიერ)

ამ თექვსმეტ უჯრ

რედში ჩასხით


1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 და 16 რიცხვები, თითო უჯრში თითო რიცხვი ისე, რომ ჯამი უოველ მხრიდან 34 გამოვიდეს.

#### II

(წარმოდგენილი ნ. დარაშვილის შიერ)

დაწერილი გვაქვს შემდეგი რიცხვები: 24, 17, 2, 4, 6. ამ რიცხვთა შორის ჩასუსვით შემდეგი ნიშნები: მისამატებელი, გამოსაკლები, გასამრავლებელი და გასაყოფი ისე, რომ ბოლო რიცხვი გამოვიდეს 13. ნიშნები +, -, ×, : .

## კვანძი

3,



შეკრული  
ეანა





2/29

# 1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადული“—<sup>ნა</sup>

წელიწადი მეთვრამეტე

ჟურნალი ნაკადული გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**24** წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

**36** სურათი ნაკადულის 1-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1915 წ. მიეცემა მხოლოდ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს წიგნი: დასურათებული „ხალხური ზღაპრები“, —სამეკრძელოში შეკრებაზე იოსებ ყიფშიძის მიერ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან. ნახევარ წლით—**3** მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი—**3** მ., მოზრდილთათვის **12** წიგნი—**3** მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7** მ., ნახევარი წლით **4** მ.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვ ტყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40** კ. შეიძლება მარკებით გამოგზავნონ.

### ხელის მოწერა მიიღება

**ტფილისში**— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითას ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სსახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან დაკ. თელიასთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ლ. ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ლ. **ლანჩხუთში**—ლერო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ნიხო გელაშვილთან. **გორში**—ნიხო ლომიურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **აღე-ქსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **ნახიჩევანში**—სამ. მარჯანიშვილთან. **ხონში**—მ. ი. ჰევკანიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი **მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**